წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სარეკომენდაციო წერილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ დებულების შესაბამისად განიხილა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი, გამოთქვა ზოგიერთი შენიშვნა და წინადადება, რაც აისახა შესაბამის ოქმში (თან ერთვის).

საბჭო რეკომენდაციას იძლევა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენილი იქნას, საბჭოს მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

დანართი ,,3“ ფურცლად

პატივისცემით,

საბჭოს თავმჯდომარე: ზ. ჯანელიძე

09.12.2024წ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ო ქ მ ი N3

ქ. წყალტუბო 6.12.2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ჯანელიძე, საბჭოს წევრები: ედიშერ გედენიძე, ნიკოლოზ გურეშიძე, მარიამ კუჭავა, დავითი მესხი, მურად სინაურიძე, თეიმურაზ ფირცხალავა, მანანა ჩაკვეტაძე, მანანა ჩიხლაძე, მარინა ჭავჭანიძე, ლეილა აშორდია; მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, მერის მოადგილეები გრიგოლ ყურაშვილი და გია კვასტიანი, მერიის თანამშრომლები მარეხ კანკაძე, ფატი გაგოშიძე, ნათია ჩაკვეტაძე, ვახტანგ ნადარეიშვილი, ნიკა მჟავია, ანა ზვიადაძე, ნათია ღოღელიანი, მერის თანაშემწე ირმა ხელაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

გ. ბალანჩივაძე - წყალტუბოს
მუნიციპალიტეტის მერი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის ინფორმაცია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ. აღინიშნა, რომ: 2024 წელთან მიმართებაში, 2025 წლის ბიუჯეტი გაზრდილია 4054 ათასი ლარით და ის განსაზღვრულია 35 375 000 ლარით. პროექტით პრიორიტეტების მიხედვით - ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გათვალისწინებულია 7 628,7 ათასი ლარი, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის 2 080,0 ათასი ლარი, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციისათვის - 420,0 ათასი ლარი, წყლის სისტემების განვითარებისათვის - 600,0 ათასი ლარი, გარე განათებისათვის - 955,0 ათასი ლარი, ავარიული სახლების რეაბილიტაციისათვის - 38,3 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების

განვითარებისათვის 430,0 ათასი ლარი, დასუფთავებისა და გარემოს დაცვისათვის - 2 595 ათასი ლარი.

ამასთან, განათლებისთვის გათვალისწინებულია 6123,5 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარებისათვის - 5586,5 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერისათვის - 20,0 ათასი ლარი, რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერისათვის - 100 ათასი ლარი, სპორტის განვითარებისათვის - 2520,7 ათასი ლარი, საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის - 100 ათასი ლარი, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის 4094,3 ათასი ლარი

აზრი გამოთქვეს საბჭოს წევრებმა:

მარინა ჭავჭანიძემ - მოითხოვა ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას თანხები უზედამხედველო ძაღლების იზოლირებასთან ერთად, მათი თავშესაფრის მოსაწყობად;

ლეილა აშორდიამ - მოიწონა ტაბიძის ქუჩაზე კორპუსების კედლების შეფუთვის სამუშაოები და მოითხოვა ანალოგიური ღონისძიების 9 აპრილის ქუჩაზე განსახორციელებლად ბიუჯეტში თანხების გათვალისწინება;

დავით მესხმა - ყურადღება გაამახვილა ქალაქში მიმდინარე საკანალიზაციო სამუშაოებზე და სურვილი გამოთქვა პარალელურად გზების დაგების დასაჩქარებლად თანხების გამოყოფის შესახებ;

თეიმურაზ ფირცხალავამ - ისაუბრა საკონცერტო დარბაზ ,,ივერიის" მდგომარეობაზე და მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე მოითხოვა სარეაბილიტაციო სამუშაოების დაჩქარება და საამისოდ შესაბამისი თანხების გამოყოფა;

მერიის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ყურაშვილმა და მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ფატი გაგოშიძემ, რომლებმაც მომხსენებელთან ერთად უპასუხეს საბჭოს წევრების შეკითხვებს და ვრცლად ისაუბრეს ბიუგეტის შემოსავლით და ხარჯვით ნაწილებზე

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი მოწონებულ იქნას;

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის წინაშე, რეკომენდაციის სახით დაისვას საკითხები, რათა 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას თანხები:

ა. უზედამხედველო ძაღლების სპეციალური თავშესაფრის მოწყობაში წილობრივი მონაწილეობისათვის.

ბ. ქალაქში მიმდინარე საკანალიზაციო სამუშაოების პარალელურად გზების აღდგენითი სამუშაოებისათვის.

გ. საკონცერტო დარბაზ ,,ივერიის" რეაბილიტაციის დასაჩქარებლად.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა გენადი ბალანჩივაძემ, ზემდგომ ორგანოებში დააყენოს საკითხი, 9 აპრილის ქუჩაზე არსებული კორპუსების კედლების შეფუთვის სამუშაოების უზრუნველსაყოფად.

4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე დასამტკიცებლად წარდგენილ იქნას აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჯანელიძე

მრჩეველთა საბჭოს მდივანი მ. ჭავჭანიძე